საერთაშორისო ძალები და სამხედრო-პოლიტიკური ვითარება ერაყში 2003-2019 წლებში

ირაკლი ელიზბარაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პოლიტიკის მეცნიერება (საერთაშორისო ურთიერთობები)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

ირაკლი ელიზბარაშვილი

24.01.2020

აბსტრაქტი

ახლო აღმოსავლეთში არსებული არასტაბილური მდგომარეობა და დაუსრულებელი კონფლიქტები მრავალი წელია არ კარგავს აქტუალობას. შექმნილი ვითარების ფორმირებაში კი, ერაყის ომმა არსებითი გავლენა იქონია. გამოწვეული შედეგების გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა კოალიციური ძალების მიერ განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია.

ნაშრომში განხილულია, ერაყში, სამხედრო-პოლიტიკური ვითარების ცვლილების სამი ეტაპი: სამხედრო ინტერვენციამდელი ვითარება, 2003-2011 წლებში კოალიციური ძალების მოქმედების პერიოდი და 2011 წელს მათი გამოსვლის შემდგომ განვითარებული მოვლენები.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა დადგენილიყო ის, თუ რამდენად მოხერხდა, შეერთებული შტატების მიერ სადამ ჰუსეინის რეჟიმთან ომით, არასასურველი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის გამოსწორება და რეგიონალური სტაბილურობის უზრუნველყოფა.

ნაშრომში ძირითადად გამოყენებულია თვისობრივი კვლევის მთოდოლოგია. მოხდა როგორც პირველადი, ასევე მეორადი წყაროების გამოყენება. თეორიულ ჩარჩო ეფუძნება რეალიზმის თეორიას.

კვლევით დადგინდა, რომ სამხედრო ინტერვენციამ არა თუ მოაგვარა არსებული პრობლემები, არამედ თავად გახდა ახალი გამოწვევებისა და რეგიონალური არასტაბილურობის მიზეზი.

საძიებო სიტყვები: სადამ ჰუსეინი, ერაყის ომი, ერაყი, სამხედრო ინტერვენცია, ახლო აღმოსავლეთი.

Abstract

The unstable situation and endless conflicts in the Middle East have been in the spotlight for many years. The Iraq war has had a significant impact on the formation of the current situation. Given the consequences, the military intervention by the coalition forces became an important event.

The paper discusses three phases of change of military-political situation in Iraq: the pre-intervention period, the period of the actions of coalition forces in 2003-2011 and the events that took place after 2011, when coalition forces left the region.

The purpose of the study was to determine the extent to which the United States, through its war with Saddam Hussein's regime, was able to remedy the adverse military-political situation and ensure regional stability.

The thesis mainly uses qualitative research methodology. Both primary and secondary sources were used. The theoretical framework is based on the theory of realism.

The research has shown that military intervention has only not solved existing problems,but also has created new challenges and regional instability.

Key Words: Saddam Hussein, Iraq War, Iraq, military intervention, Middle East.